მასთერქარდის ფინანსური განათლების პლატფორმა (MFET)

კონფიდენციალურობის განცხადება

„Mastercard International Incorporated“ და მისი შვილობილი კომპანიები („მასთერქარდი“) პატივს სცემენ თქვენი ინფორმაციის კონფიდენციალურობას. ამ განცხადებაში აღწერილია, თუ როგორ იყენებს „მასთერქარდი“ თქვენს ინფორმაციას MFET-ს მიზნებისთვის.

თქვენს შესახებ ინფორმაციას ეწოდება „პერსონალური ინფორმაცია“. ამ დოკუმენტში განვმარტავთ, თუ როგორ შეაგროვებს, გამოიყენებს, გააზიარებს და დაიცავს მასთერქარდი პერსონალურ ინფორმაციას. ასევე განვმარტავთ თქვენს უფლებებს პერსონალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით და თუ როგორ დაუკავშირდეთ „მასთერქარდს“ ინფორმაციის განახლებისთვის, ან კითხვებზე პასუხების მისაღებად.

1. „მასთერქარდის“ მიერ თქვენს შესახებ მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია MFET-ით სარგებლობის ფარგლებში, ჩვენს მიერ თქვენს შესახებ მოპოვებულ პერსონალურ ინფორმაციაში შესაძლოა შედიოდეს:

- მომხმარებლის ტიპი (მომხმარებელი ან მცირე ბიზნესის მფლობელი)
- მობილური ტელეფონის ნომერი
- პაროლი
- ქვეყანა ან რეგიონი
- ენა
- ყოველთვიური შემოსავლის დიაპაზონი
- ყოველთვიური ხარჯვის დიაპაზონი
- ყოველთვიური ბიზნეს ხარჯების დიაპაზონი
- სქესი
- მრეწველობის დარგი
- ფინანსურ და ციფრულ სფეროში განათლების დონე

2. როგორ იყენებს „მასთერქარდი“ თქვენს პერსონალურ მონაცემებს
„მასთერქარდი“ თქვენგან იღებს მხოლოდ კონკრეტული მიზნისთვის საჭირო პერსონალურ მონაცემებს. თქვენს პეროსნალურ მონაცემებს ვიყენებთ მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის:

- მოგაწოდოთ MFET
- დაგეხმაროთ MFET-ს გამოყენებაში
- მოგიმზადოთ სპეციალიზირებული სასწავლო და კონტექსტთან დაკავშირებული რეკომენდაციები, თქვენს მიერ MFET-ით სარგებლობის საფუძველზე;
- მოვამზადოთ შეჯამებული ანონიმური ანგარიშები MFET-ის გამოყენების შესახებ, ჩვენი შიდა სარგებლობისთვის;
- MFET-ის გამოყენების შესახებ შეჯამებული ანონიმური ანგარიშები მივაწოდოთ ჩვენს პარტნიორებს, რომლებიც გვეხმარებიან MFET-ს შეთავაზებასა და პოპულარიზაციაში;
- დაგვეხმაროთ გავაგრძელოთ თქვენთვის და სხვებისთვის შესაფერისი და სასარგებლო სერვისების შეთავაზებაში;
- შევიმუშაოთ მსგავსი პროდუქტები და სერვისები.

3. როგორ გასცემს „მასთერქარდი“ პერსონალურ მონაცემებს

„მასთერქარდმა“ შესაძლოა თქვენი პერსონალური მონაცემები გაუზიაროს სხვა მხარეებს, რათა ხელი შეგვიწყონ MFET-ს მიწოდებაში და მომავალში მსგავსი პროდუქტის და სერვისების შემუშავებაში. პერსონალური მონაცემები შეიძლება გავუზიაროთ:

- „მასთერქარდის“ სხვა სუბიექტებს, მათ შორის ჩვენს სათაო ოფისს და მონაცემთა ცენტრებს;
- „მასთერქარდის“ ჯგუფში შემავალ კომპანიებს
- ტექნიკურ პარტნიორებს და სხვა სერვის პროვაიდერებს, რომლებიც გვეხმარებიან MFET-ს საკითხებში;
- პარტნიორ ორგანიზაციებს, რომლებიც გვეხმარებიან MFET-ის შეთავაზებაში და პოპულარიზაციაში
- სხვა იურიდულ თუ ფიზიკურ პირებს, თუმცა მხოლოდ კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე.

4. მონაცემთა საერთაშორისო ტრანსფერი

„მასთერქარდი“ გლობალური კომპანია მრავალი პარტნიორით, რომელიც გვეხმარება თქვენთვის მომსახურების გაწევაში. ზოგჯერ, „მასთერქარდს“ შესაძლოა დაჭირდეს თქვენი პერსონალური მონაცემების გაგზავნა იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სადაც მოხდა მათი შეგროვება, მათ შორის ჩვენს სათაო ოფისში ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

5. როგორ იცავს „მასთერქარდი“ პერსონალურ ინფორმაციას

პერსონალური მონაცემების დასაცავად „მასთერქარდი“ მიმართავს უსაფრთხოების შესაბამის ზომებს და მხოლოდ შეზღუდული დროით.

6. თქვენი უფლებები და არჩევანი

ქვეყნიდან გამომდინარე, შესაძლოა გქონდეთ უფლება ან არჩევანი:

- უარი თქვათ პერსონალური მონაცემების შეგროვებაზე ან გამოყენებაზე, მათ შორის ქუქიების და მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენებაზე და მოითხოვოთ პერსონალური მონაცემების ანონიმურობა მონაცემთა ანალიზისთვის.
- გქონდეთ წვდომა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე, მოითხოვოთ ასლი, შეასწოროთ, შეზღუდოთ, ან გაასაჩივროთ მონაცემების დამუშავება, მოითხოვთ მათი წაშლა, განადგურება, ან ანონიმურობის დაცვა.
- სხვა კომპანიაში გასაგზავნად მიიღოთ „მასთერქარდისთვის“ გადაცემული პერსონალური მონაცემები.
- გააუქმოთ თქვენს მიერ გაცემული ნებისმიერი თანხმობა.
- საჭიროებისამებრ, შეიტანოთ საჩივარ შესაბამის მარეგულირებელ უწყებაში.

თქვენ, ან თქვენს უფლებამოსილ პირს, შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდგომ მუხლში მითითებული უფლებებით („როგორ დაგვიკავშირდეთ“).

7. კონფიდენციალურობის გარანტიის განახლება

ზოგჯერ შესაძლოა დაგვჭირდეს კონფიდენციალურობის განცხადებაში ცვლილებების შეტანა განახლების მიზნით. კონფიდენციალურობის პირობებში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ან არსებითი ცვლილების შესახებ გაცნობებთ ამოქმედებამდე; შეტყობინების დასაწყისში მივუთითებთ ბოლო განახლების დროს. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა გთხოვოთ თანხმობა.

8. როგორ დაგვიკავშირდეთ

კონფიდენციალურობის განცხადებასთან და პრაქტიკასთან დაკავშირებით კითხვების თუ მოთხოვნების, ან კონფიდენციალურობის პარამეტრების განახლების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტით:
privacyanddataprotection@mastercard.com

ან მოგვწერეთ:
კონფიდენციალურობის სამსახური
Mastercard International Inc.
2000 Purchase Street
Purchase, New York 10577
USA

თუ იმყოფებით ევროპის ეკონომიკურ ზონაში ან ან შვეიცარიაში, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელია Mastercard Europe SA. შეგიძლიათ მოთხოვნა გამოგვიგზავნოთ ელექტრონული ფოსტით:
privacyanddataprotection@mastercard.com

ან მოგვწეროთ მისამართზე:
ევროპის ეკონომიკური ზონის მონაცემთა დაცვის ინსპექტორი
Mastercard Europe SA
Chaussée de Tervuren 198A
B-1410 Waterloo
Belgium

მასთერქარდის კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://www.mastercard.com.ge/en-ge.html